# THE REASONABLENESS OF INCORPORATING THE PRINCIPLE OF PRIORITY OF THE BEST INTERESTS OF THE JUVENILE IN THE CONSTITUTION OF GEORGIA

Salome Guliashvili

*PhD student at Faculty of Law at Caucasus International University*

Email: salomeguliashvili95@gmail.com

## Abstract

The Constitution of Georgia is a legal document with the highest force, and legal acts, including juvenile legislation, are based on the provisions stipulated in it. In its turn, the principle of prioritizing the best interests of minors is considered to be the driving norm-principle of the latter, which serves as controller and guarantor of the proper implementation of juvenile justice. The aim of the paper is the scientific and practical development of the discussion on the incorporation of the principle of priority of the best interests of the juvenile in the Constitution of Georgia, for which purpose the method of logical analysis of research, comparative-legal method will be used. The paper analyzes how the norm is incorporated into the Constitution, highlights the essence of the principle of juvenile's priority and discusses international experience, which reinforces the importance of enshrining the principle of best interests in the Constitution, which will lay the foundation for the development of high standards of child rights.

**KEYWORDS:** Juvenile, Legislation, Harmonisation

*natura, appetit perfectum, ita est lex*[*]

## შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და ფუნქციონირების მყარ სამართლებრივ საფუძველს აყალიბებს. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების სწორად გააზრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის უპირატესი მიზნის – ხელისუფლების თვითშეზღუდვის მისაღწევად.[1] დემოკრატიულ სახელმწიფოში მართლმსაჯულების მიზანია უფლებრივი წესრიგის დამყარება და განმტკიცება,[2] რომელიც იწყება კანონმდებლობით, უპირველესად კი, უმაღლესი კანონით – კონსტიტუციით და შემდეგ საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკაში გაცოცხლებით. უმნიშვნელოვანესია, რომ კანონმდებლობამ განსაზღვროს სხვადასხვა ტიპის უფლებამოსილების განხორციელების საზღვრები, უფრო კონკრეტულად კი, კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს ძირითადი სტრუქტურა და იურიდიული სისტემის წესები.[3] ვინაიდან, კონსტიტუცია წარმოადგენს ქვეყნის მთავარ სამართლებრივ დოკუმენტს, მის შინაარსობრივ მხარეზეა დამოკიდებული სახელმწიფოს მშენებლობა და ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის არსებობა. კონსტიტუცია ერთგვარი „ხიდია“ სხვა საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის, ვინაიდან, იდეურად ხსენებული დოკუმენტის დებულებები ფართოდ უნდა გადმოიცეს სხვა საკანონმდებლო აქტებში.[4] აღნიშნული უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და იურიდიული მოვლენაა, რომლის შინაარსი, რეალობისა და ფიქტიურობის ხარისხი, საზოგადოების დემოკრატიულობისა და პროგრესულობის უტყუარი მაჩვენებელია.[5]კონსტიტუციური პრინციპების მნიშვნელობა განუზომლად დიდია, ვინაიდან ისინი განაპირობებენ კონსტიტუციურ შინაარსს, განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების ძირითად მიმართულებებს; ისინი ავალდებულებენ ხელისუფლებას შეიზღუდოს კონსტიტუციური წყობით, ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს. ესაა სამართლებრივი მართლწესრიგის მიღწევის გზა, რომლის გარეშეც ვერ შედგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო.[6] სამართლებრივი პრინციპები არის ზოგადი ხასიათის ძირითადი ჩარჩო

---

* ლათინური სენტენცია: ბუნება მიილტვის სრულყოფილებისაკენ და ასევე კანონიც.

1 დემეტრაშვილი, ა. და სხვები, 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი: შპს პეტიტი, გვ. 5.

2 გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 211.

3 ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი, 2012. კანონის უზენაესობა. ჰააგა, გვ. 15. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://rwi.lu.se/app/uploads/2015/07/ruleoflaw-georgian.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

4 Sinani, B., 2013. A critical-legal overview of the concept of constitution as the highest legal political act of the state in the light of constitutional-juridical doctrine, Journal of law and social sciences of the Law Faculty of University J.J. Strossmayer in Osijek, Vol. 29, 2, გვ. 2443. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/179489> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

5 დემეტრაშვილი, ა., 2005. კონსტიტუციური სამართალის სახელმძღვანელო. თბილისი: ჰოლივუდი, გვ. 52.

6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N1/3/407).

Email: info@heraldoflaw.com

– ნორმები, რომლებზეც აგებულია სამართლებრივი სისტემა.[7] საუკეთესო ინტერესის პრინციპის კონსტიტუციაში არსებობა მნიშვნელოვანია, ესაა ერთგვარი საზომი, რომლითაც ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა შეაფასოს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებულ ქმედებათა მიზანშეწონილობა.[8] კონსტიტუციაში საუკეთესო ინტერესების ინკორპორირება ნიშნავს საკანონმდებლო ორგანოს გაძლიერებულ ვალდებულებას, გაითვალისწინოს მითითებული პრინციპი ყველა იმ კანონში, რომლებიც ეხება ბავშვებს და შემდგომ ამისა, პრაქტიკულად განხორციელდეს მისი ფუნდამენტურად მხედველობაში მიღება. კონსტიტუციაში საუკეთესო ინტერესების ჩართვა ამ პრინციპს უფრო თვალსაჩინოს ხდის, გადაწყვეტილებისა და ქმედებების არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებისას მისი გამოყენების ვალდებულებას უფრო ამაღლებს.[9]

## 1. კონსტიტუცია – ქვეყნის უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე იურიდიული დოკუმენტი

საკანონმდებლო აქტების იერარქიაში საქართველოს კონსტიტუცია უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტია.[10] იგი ქვეყნისა და საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტია, რომელშიც განმტკიცებულია სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი პრინციპები: პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობა, სახელმწიფო მმართველობის ფორმა, სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, მათი ფორმირების და ფუნქციონირების წესი.[11]

კონსტიტუციაში მოცემული პრინციპები, ესაა ის ფუნდამენტური ნორმები, რომელთა საშუალებითაც იმართება სახელმწიფო,[12] პრინციპები ასახავს, თუ როგორ არის ორგანიზებული ხელისუფლების ყველა ელემენტი და შეიცავს წესებს იმის შესახებ, თუ რა ძალაუფლება გამოიყენება, ვინ

7 Daci, J.,2010. Legal Principles, Legal Values and Legal Norms: Are hey the same or different?, Academicus – International Scientific Journal, (2), გვ. 115.[ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://academicus.edu.al/nr2/Academicus-MMX-2-109-115.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

8 Unicef, 2008. Handbook on Legislative Reform: Realizing Children's Rights. New York: United Nations Childrenês Fund, გვ.153.[ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/ruleoflaw/files/Handbook%20on%20Legislative%20Reform.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

9 Haugli, T. and Nylund, A., 2019. Children’s Constitutional Rights in the Nordic Countries. Norway: Brill. გვ. 151.[ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://brill.com/view/book/edcoll/9789004382817/BP000026.xml> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

10 მუხლი 7, საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=34> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

11 კახიანი, გ., 2008. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზ., სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 12.

12 Unicef, 2008. Handbook on Legislative Reform: Realizing Children's Rights. New York: United Nations Childrenês Fund, გვ.109. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/ruleoflaw/files/Handbook%20on%20Legislative%20Reform.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

ფლობს მას და ვისზე ვრცელდება იგი ქვეყნის მართვის დროს.[13] კონსტიტუციური დებულებები და პრინციპები აყალიბებს სახელმწიფოს; იგი ფართო შტრიხებით ხატავს „ტილოზე“ სახელმწიფო ინტიტუტების ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს, განსაზღვრავს სახელმწიფო სტრუქტურათა საქმიანობას და ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს.[14] კონსტიტუცია მეტაფორულად ესაა „ცოცხალი ხე“, რომელსაც შეუძლია „გაზარდოს“ და „გააფართოვოს“ მისი ბუნებრივი საზღვრები.[15] ცოცხალი ხის მეტაფორა გამოიყენება იმის ვარაუდისათვის, რომ კონსტიტუცია უნდა მოერგოს და გაიზარდოს თანამედროვე რეალობის პარალელურად.[16] ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციაში ასახული ნორმები თანხვედრაში იყოს საერთაშორისო სამართლის ნორმებთან.[17]

## 2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრინციპთა კონსტიტუციაში ინკორპორირების მიზანი და მნიშვნელობა

კონსტიტუციაში არსებულ დებულებას გააჩნია ძლიერი პოლიტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა, ვინაიდან, უფრო მეტად ხილვადს ხდის გადაწყვეტილებას მიღებამდე.[18] კონსტიტუციაში მოცემულია ფუძემდებლური ე.წ. „მუდმივი“, „უცვლელი“ ნორმები, რომლებიც თავად ძირითადი კანონისათვის ერთგვარი წითელი ზოლის ფუნქციას ასრულებენ.[19] კანონმდებელიც და სასამართლოც შებოჭილია სამართლის პრინციპებით, რაც იმას გულისხმობს, რომ, როგორც ნორმატიული აქტის, ისე გადაწყვეტილების საძირკველს სამართლის პრინციპები წარმოადგენენ, „სიკეთეთა ობიექტური წესრიგის“ საფუძველს ქმნიან.[20] დაუშვებელია არსებობ-

13 The Basic Provisions of the Constitution, of the Republic of South Africa, 1996, Preamble, Founding Provisions and bill of rights, გვ. 2. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.justice.gov.za/legislation/constitution/FoundingProvisions_Constitution.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

14 Botswana –– Attorney-General v. Dow, Appeal Court, 1994 (6) BCLR 1 (locus standi). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.elaw.org/content/botswana-attorney-general-v-dow-appeal-court-1994-6-bclr-1-locus-standi> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

15 Botswana – – Attorney-General v. Dow, Appeal Court, 1994 (6) BCLR 1 (locus standi). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.elaw.org/content/botswana-attorney-general-v-dow-appeal-court-1994-6-bclr-1-locus-standi> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

16 იქვე.

17 Unicef, 2008. Handbook on Legislative Reform: Realizing Children's Rights. New York: United Nations Childrenês Fund, გვ.143. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/ruleoflaw/files/Handbook%20on%20Legislative%20Reform.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

18 Haugli, T. And Nylund, A., 2019. Children's Constitutional Rights in the Nordic Countries. Norway: Brill. p.140-141. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://brill.com/view/book/edcoll/9789004382817/BP000026.xml> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

19 პაპაშვილი, თ. და გეგენავა, დ., 2015. კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, გვ. 61.

20 ზოიძე, ბ., 2007. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, გვ. 46.

დეს სიმბოლური სამართალი, რომელიც ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა კანონმდებლობაში, ადამიანის უფლება არ შეიძლება სიმბოლურ ხასიათს ატარებდეს, იგი სავალდებულოა, რომ რეალური შინაარსის შემცველი იყოს.[21] პრინციპების გათვალისწინება აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის, ვინაიდან იგი არის ქვეყნის უზენაესი კანონი, ხოლო კონსტიტუციური პრინციპები – პოსტულატებია.[22] კონსტიტუციური პრინციპებით განმტკიცებულია ქვეყნის განვითარების „გეგმა“.[23] კონსტიტუციაში უნდა იყოს „ჩარჩო“ საზოგადოების ყველა სფეროს მოწყობისათვის.[24] *„ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენენ ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება; ძირითადი უფლებები ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ყოველი ადამიანის პიროვნული თავისუფლების სრული თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, რაც, პირველ რიგში, მოითხოვს სახელმწიფოს სიფრთხილეს და ზომიერებას უფლებაში ჩარევისა და რეგულირების ფარგლების დადგენისას. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნველმყოფელი ნორმა-პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელისუფლების ადამიანთან ურთიერთობის შინაარსს“.*[25]

კონსტიტუციური პრინციპები ძირითადად გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან, თუმცაღა, დამატებითი პრინციპები სხვადასხვა სფეროდან შეიძლება განისაზღვროს კონსტიტუციურად, როგორიცაა ბავშვის საუკეთესო ინტერესები ბავშვთა უფლებების კონვენციიდან. კონსტიტუციაში მოცემულ პრინციპებზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის კულტურული და სამართლებრივი ტრადიციები.[26] იურიდიული პრინციპები, როგორც სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროს მნიშვნელობა, კარგად აღიარებულია.[27] სამართლებრივ პრი-

---

21 იქვე. გვ. 56.

22 Kiros Assefa, K. S., 2018. Sovereignty, Legitimacy and Fundamental Rights as Limitations to Criminalisation Power of the State, Mizan law review, Vol. 12, No.1, გვ.148. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ajol.info/index.php/mlr/article/view/181174> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

23 Lyons, D., 2013. Constitutional principles, Boston university law review, (Vol. 92), p. 1237. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bu.edu/law/journals-archive/bulr/documents/lyons_001.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

24 Office of the United Nations HighCommissioner for Human Rights (OHCHR). 2018. Human rights and constitution making. New York and Geneva: OHCHR, გვ. 8. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/Documents/Publications/ConstitutionMaking_EN.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N1/3/407).

26 Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR). 2018. Human rights and constitution making. New York and Geneva: OHCHR, გვ. 57. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/Documents/Publications/ConstitutionMaking_EN.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

27 Daci, J., 2010. Legal Principles, Legal Values and Legal Norms: Are They the Same or Different? Academicus – International Scientific Journal, (2), გვ. 109. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://academicus.edu.al/nr2/Academicus-MMX-2-109-115.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

ნციპებთან მიმართებაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ იურიდიული პრინციპები თითქმის ერთნაირია მსოფლიოს ყველა იურიდიულ სისტემაში მათი შინაარსის უნივერსალურობიდან გამომდინარე, ვინაიდან, იგი ადამიანის გონიერებიდან მომდინარეა.[28]სამართლებრივი პრინციპი უნდა გავიგოთ, როგორც ძირითადი ნორმა, საიდანაც გამომდინარეობს სხვა ნორმები.

## 3. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის კონსტიტუციაში გაწერის მიზანშეწონილობა

### 3.1. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის კონცეფცია საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად

*„ბავშვების კონსტიტუციური უფლებები არ არის საკონსულტაციო ხასიათის, ისინი სავალდებულოდ აღსასრულებელი ცნებებია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცნენ ბავშვებს მათთან შემხებლობაში მყოფი თანამდებობის პირები“.*[29] ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, წარმოუდგენელია ქვეყნის ახალი კონსტიტუციის შემუშავება ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტებზე მითითების გარეშე.[30] ბავშვის უფლებათა კონვენცია იმდენად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომ იგი „ნაწილია“ ფაქტობრივად კონსტიტუციისა იუვენალური იუსტიციის განსაზღვრის სფეროში.[31] ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირველესი გათვალისწინებისათვის იგი ინკორპორირებული უნდა იქნეს კანონმდებლობაში, რათა შემდგომ ეფექტურად მოხდეს მისი პრაქტიკაში განხორციელება.[32] ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონსტიტუციაში არსებობა არის ერთგვარი გარანტორი იმისა, რომ მისი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში განხორციელება ჯეროვნად მოხდება.[33] ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფოებს

28 იქვე. გვ. 111.

29 Sloth-Nielsen, J. and Kruuse, H., 2013. A Maturing Manifesto: The Constitutionalisation of Children's Rights in South African, Jurisprudence 2007-2012, Internationaljoumal of Children's Rights 21, გვ.676. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.academia.edu/31558639/A_Maturing_Manifesto_The_Constitutionalisation_of_Childrens_Rights_in_South_African> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

30 ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი, 2012. კანონის უზენაესობა. ჰააგა, გვ. 38. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://rwi.lu.se/app/uploads/2015/07/ruleoflaw-georgian.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

31 Article 78, Venezuela (Bolivarian Republic of)'s Constitution of 1999 with Amendments through 2009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.constituteproject.org/constitution/Venezuela_2009.pdf?lang=en> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

32 UNICEF, 2007. Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child, Switzerland: United nations publications, გვ. 40. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/media/96496/file/Implementation%20Handbook%20for%20the%20Convention%20on%20the%20Rights%20of%20the%20Child.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

33 Unicef, 2008. Handbook on Legislative Reform: Realizing Children's Rights. New York: United Nations Children's Fund, გვ. 153. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/ruleoflaw/files/Handbook%20on%20Legislative%20Reform.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

Email: info@heraldoflaw.com



მიეცათ რეკომენდაცია კანონმდებლობაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების ინკორპორირებასთან დაკავშირებით.[34] გაერთიანებული ორგანიზაციის – ბავშვის უფლებათა კომიტეტი – ბავშვთა უფლებების კონვენციის მიღების შემდეგ აქტიურად მუშაობს კონვენციაში მოცემული საკითხების უფრო მეტად გაანალიზებისა და ქვეყნებისათვის რეკომენდაციების შემუშავებისათვის. იგი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, განახორციელონ ყველა შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები ბავშვის უფლებათა კონვენციით აღიარებული უფლებების განსახორციელებლად.[35] სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება იმისა, რომ ბავშვების უფლებები რეალურად დაიცვას; ამ გზაზე ფუნდამენტურია იმის უზრუნველყოფა, რომ ეროვნული კანონმდებლობა სრულად შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებების კონვენციას, რაც მიიღწევა კონვენციის პრინციპებისა და დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორირებითა და შემდგომ სათანადოდ აღსრულებით.[36] აუცილებელია კონსტიტუციურად მოხდეს ბავშვების უფლებების გაწერა, ვინაიდან, „ყველას" უფლება მართალია გულისხმობს ბავშვებსაც, მაგრამ მათ მიმართ მიდგომა უფრო მეტად სპეციფიკური უნდა იყოს, რაც, პირველ რიგში, ამ მიმართულებით ნორმატიული ბაზის დამუშავებით მიიღწევა.[37] თუმცაღა, პრინციპის კონსტიტუციაში გაწერა არ ნიშნავს მის პრაქტიკაში გამართულ ფუნქციონირებას, მაგრამ აღნიშნული უდავოდ იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, რაც მიმართული იქნება ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციების სრულად კანონმდებლობაში გათვალისწინებისკენ.[38] კონსტიტუციაში ბავშვთა უფლებების განცალკევების მიზანი განპირობებულია იმით, რომ ფოკუსირდება და მეტად გამოიკვეთება ბავშვთა უფლებების განვითარებისა და დაცვის საკითხები, შეიქმნება მეტად დახვეწილი საშუალებები უფლებების დაცვის კუთხით, რომლის მიზანიც ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა იქნება;[39]

34 para. 10, 31, Committee on the Rights of the Child, Concluding Observations: Liberia, U.N. Doc. CRC/C/15/Add.236 (4 June 2004). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/42d28f214.html> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

35 Article 4, General comment No. 5 (2003), General Measure of Implementation of the Convention on the Rights of the Child (arts. 4, 42 and 44, para. 6). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2FPPRiCAqhKb7yhsiQql8gX5Zxh0cQqSRzx6Zd2%2FQRsDnCTcaruSeZhPr2vUevjbn6t6GSi1fheVp%2Bj5HTLU2Ub%2FPZZtQWn0jExFVnWuhiBbqgAj0dWBoFGbK0c> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

36 იქვე.

37 On the Protection of Children's Rights: International Standards and Domestic Constitutions, adopted by the Venice Commission, at its 98th Plenary Session (Venice, 21-22 March 2014), გვ.6. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)005-e> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

38 On the Protection of Children's Rights: International Standards and Domestic Constitutions, adopted by the Venice Commission, at its 98th Plenary Session (Venice, 21-22 March 2014), გვ.6. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)005-e> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

39 Sloth-Nielsen, J. and Kruuse, H., 2013. A Maturing Manifesto: The Constitutionalisation of Children's Rights in South African, Jurisprudence 2007-2012, International joumal of Children's Rights 21, გვ. 648. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.academia.edu/31558639/A_Maturing_Manifesto_The_Constitutionalisation_of_Childrens_Rights_in_South_African> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

ზოგადი და სპეციალური ხასიათის დებულებებს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთდამოკიდებულება და განუყოფლობა, როგორც ერთმანეთის შემავსებელი და ერთმანეთის მხარდამჭერი შინაარსის მატარებელი საკითხები. როდესაც დებულება კონკრეტულ სფეროში ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია, ასეთი ნორმა ინკორპორირებული უნდა იქნეს კანონმდელობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმგვარი შინაარსის მატარებელი ნორმების კანონმდებლობაში ინკორპორირებაზე, რითაც ადამიანის უფლებების კონტექსტის საერთაშორისო სტანდარტებთან ინტეგრირება მოხდება.[40] ბავშვის უფლებათა კომიტეტი დადებითად აფასებს ეროვნულ კონსტიტუციებში ბავშვის უფლებების შესახებ დათქმებს, რომლებიც ასახავს კონვენციის ძირითად პრინციპებს. ამ უფლებების სრული განხორციელების მიზნით შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი საკანონმდებლო ზომების გატარება.[41] საკანონმდებლო რეფორმის მიზანი გულისხმობს კონკრეტული ცვლილებით ეფექტიანი გახდეს კონკრეტული ნორმა, მისი გამოყენება პრაქტიკაში, სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას შეეწყოს ხელი და ა.შ.[42] ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის იმგვარად უზრუნველყოფას, რომლითაც ბავშვის საუკეთესო ინტერესები იქნება, პირველ რიგში, მხედველობაში მისაღები გარემოება.[43]

### 3.2. ქვეყნები, რომელთა კონსტიტუციაშიც გათვალისწინებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა

მსოფლიოს მასშტაბით მცირეა იმ ქვეყანათა რიცხვი, რომელთა კონსტიტუციაშიც ინკორპორირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა. ევროპის საბჭოს მასშტაბით სამი სახელმწიფოს კონსტიტუციაშია ბავშვის საუკეთესო ინტერესები ასახული, როგორებიცაა: ნორვეგია, სერბეთი და ირლადნია; თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა სახელმწიფო-

40 Unicef, 2008. Handbook on Legislative Reform: Realizing Children's Rights. New York: United Nations Childrens Fund, გვ. 149. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/ruleoflaw/files/Handbook%20on%20Legislative%20Reform.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

41 Article 4, General comment No. 5 (2003), General Measure of Implementation of the Convention on the Rights of the Child (arts. 4, 42 and 44, para. 6). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2FPPRiCAqhKb7yhsiQql8gX5Zxh0cQqSRzx6Zd2%2FQRsDnCTcaruSeZhPr2vUevjbn6t6GSi1fheVp%2Bj5HTLU2Ub%2FPZZtQWn0jExFVnWuhiBbqgAj0dWBoFGbK0c> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

42 Unicef, 2008. Handbook on Legislative Reform: Realizing Children's Rights. New York: United Nations Childrens Fund, გვ. 39. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/ruleoflaw/files/Handbook%20on%20Legislative%20Reform.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

43 European Parliament's Committee on Civil Liberties, 2012. Justice and Home Affairs, EU Framework of Law for Children's Rights. Brussels: European Parliament, გვ. 8. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2012/462445/IPOL-LIBE_NT(2012)462445_EN.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

ები პრაქტიკულად არ იყენებენ აღნიშნულ პრინციპს.[44] როგორც წესი, ასეთ დროს იგი სხვა საკანონმდებლო აქტებშია გაწერილი.

ნორვეგია იმ ქვეყანათა რიგშია, რომლის კონსტიტუციაშიც გაწერილია აღნიშნული პრინციპი. ნორვეგიაში სახელმძღვანელო პრინციპად მიიჩნეოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესები, კერძოდ, ფუნქციონირებდა 1981 წლის სპეციალური კანონი ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ბავშვის საუკეთესო ინტერესების არსი და გამოყენების საკითხები;[45] დამატებით, როდესაც 2003 წელს მოახდინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება, კონვენციას მიენიჭა სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა. მიუხედავად ამდენი ბერკეტისა, ნორვეგიის კონსტიტუციაში 2014 წლის 13 მაისს ასახულ იქნა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი.[46] კერძოდ, ნორვეგიის კონსტიტუციის 104-ე მუხლში განისაზღვრა მისი კონცეფცია: *„არასრულწლოვანზე ზეგავლენის მომხდენი ქმედებებისა და გადაწყვეტილებებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის მთავარი მხედველობაში მისაღები გარემოება“.*[47] ამრიგად, ნორვეგიაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის საკითხი კანონმდებლობაში, კონსტიტუციაში, მის გაწერამდეც მყარად იყო დაცული. საინტერესოა, თუ რა გავლენა მოახდინა კონსტიტუციაში მისმა გაწერამ იუვენალურ იუსტიციაზე?! ამისათვის ნორვეგიის პრაქტიკის განხილვა დაგვეხმარება, რისი საშუალებითაც ნაჩვენები იქნება კონსტიტუციაში აღნიშნული პრინციპის ინკორპორირების პრაქტიკული ეფექტიანობა. სასამართლო გადაწყვეტილებებში აქტიურად ხდება მითითება კონსტიტუციის იმ მუხლზე, რომელშიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებზეა დათქმა; ამ საკითხს მეტად ამარტივებს ისიც, რომ ზოგადად არის გაწერილი საუკეთესო ინტერესების, „პირველ ყოვლისა, მხედველობაში მიღების“ შესახებ და ერგება ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა ქმედებასა და გადაწყვეტილებას.მართლია, ნორვეგიის სასამართლო პრაქტიკაზე რაიმე ქმედითი მნიშვნელობა არ მოუხდენია კონსტიტუციაში მის არსებობას, ვინაიდან ათეული წლებია არსებობს ბავშვთა უფლებების კეთილდღეობის აქტი, ამასთან, ბავშვთა უფლებების რატიფიცირება, სასამართლო გადაწყვეტილებებში პირდაპირ ხდებოდა მითითება ბავშვთა უფლებების კონვენციის მესამე მუხლის პირველ ნაწილზე; თუმცაღა, „ბავშვის საუკეთესო ინტერესის“ კონტიტუციაში გაწერას აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმ კუთხით, რომ ქვეყნის მთავარ აქტში ბავშვთა მიმართ გამოსაყენებელი ნორმა-პრინცი-

44 Haugli, T., 2019. children's Constitutional Rights for Children in Norway. Norway: Brill | Nijhoff, გვ. 48. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://brill.com/view/title/39188> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

45 Act No. 7 of 8 April 1981 relating to Children and Parents (The Children Act), Ministry of Children and Equality. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://assets.hcch.net/docs/8cd52356-2d54-4b88-b130-50d092f48f9e.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

46 Sandberg, K.,2019. Children's Constitutional Rights in the Nordic Countries. Norway: Brill | Nijhoff, გვ.133. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://brill.com/view/book/edcoll/9789004382817/BP000011.xml?body=pdf-43180> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

47 The Constitution of the Kingdom of Norway. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.legislationline.org/download/id/8695/file/Norway_Constitution_1814_am2020_en.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

პია ასახული.[48] კონსტიტუციურად აღნიშნული პრინციპის განმტკიცებას ძლიერი სიმბოლური და პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნდა.[49] ნორვეგიის კონსტიტუციაში საუკეთესო ინტერესების ინკორპორირება უფრო მეტად იყო „საბოლოო ნაბიჯი" – ვიდრე საწყისი წერტილი", რომლითაც ბავშვთა უფლებების დაცვა განხორციელდა საკანონდებლო კუთხით.[50] აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილების თაობაზე მადლიერებას გამოხატავს ბავშვთა უფლებების კომიტეტი, ვინაიდან ამით მყარი ბერკეტი იქმნება ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით.[51]

იმ ქვეყნებს შორის, რომელთა კონსტიტუციაშიც გაწერილია ბავშვის საუკეთესო ინტერესი, არის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა თავში ცალკეა გამოყოფილი ბავშვთა უფლებები, კერძოდ, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც: *„ბავშვის საუკეთესო ინტერესი არის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ბავშვის მიმართ მისაღები ყველა გადაწყვეტილებისას".*[52] აღნიშნული პრინციპი შემუშავებულია ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად.[53]ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონსტიტუციური გაწერა მაღალ დონეზე იცავს ბავშვთა უფლებებს ყველა იმ საკითხში, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბავშვზე ახდენს გავლენას.[54] იგი არის„განუსაზღვრელი გარანტია" იმისა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები იქნება პირველსაწყისი ყველა გადაწყვეტილების მიღებისას.[55] მართალია, ზოგადი ხასიათით ხდება

48 Sandberg, K., 2019. Children's Constitutional Rights in the Nordic Countries. Norway: Brill Nijhoff, გვ.146-150.[ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://brill.com/view/book/edcoll/9789004382817/BP000011.xml?body=pdf-43180> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

49 Haugli, T., 2019. children's Constitutional Rights for Children in Norway. Norway: Brill | Nijhoff, გვ. 54. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://brill.com/view/title/39188> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

50 იქვე. გვ. 55.

51 Committee on the Rights of the Child, Concluding observations on the combined fifth and sixth periodic reports of Norway, 4 July 2018. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2FPPRiCAqhKb7yhskd8j6m8TLYHEq%2B8lcfyyNiK5HTv3BlHD2yUDbkYkjYjn9xD8vprwt%2Bd7OOPlcLT3X9z%2FdVue7vDSd17DwXVGdC0p28EZNdSyedRb2agr1el> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

52 The constitution of the republic of South Africa 1996.[ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.justice.gov.za/legislation/constitution/saconstitution-web-eng.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

53 Couzens, M., 2019. The Best Interests of the Child and the Constitutional Court. Constitutional Court Review, Volume 9, გვ. 369. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://constitutionalcourtreview.co.za/wp-content/uploads/2021/02/CCR_9_2019_0014.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

54 Mawdsley, R., Beckmann, J., Waal, E. and Russo, C., 2010. The Best Interest of the Child: A United States and South African perspective, Journal for Juridical Science, Special Issue, გვ. 19. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/268443150_The_best_interest_of_the_child_A_United_States_and_South_African_perspective> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

55 Reyneke, J., 2013. The best interests of the child in school discipline in South Africa, Schweizer-Reneke: Tilburg University, გვ. 16. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://scholar.ufs.ac.za:8080/bitstream/handle/11660/2563/ReynekeJM.pdf?sequence=1&isAllowed=y> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

აღნიშნული პრინციპის გაწერა კონსტიტუციაში, თუმცაღა, არც ერთ საერთაშორისო დოკუმენტში არაა ამომწურავად მისი მნიშვნლობა მოცემული მისი მრავალმხრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამიტომაც, მთავარია, იგი იყოს ზოგადი მოცემულობით და შემდეგ კონკრეტულ საკითხთან მოხდეს დაკონკრეტება, თუ რა იგულისხმება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში.[56]

### 3.3. საქართველოს ნორმატიული ბაზა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების კუთხით

ბავშვთა უფლებების კუთხით უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღეს, ძალაში კი 1990 წლის 2 სექტემბერს შევიდა. აღნიშნულ კონვენციას ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელობა მას შემდეგ გააჩნია, რაც საქართველომ 1994 წელს მისი რატიფიცირება მოახდინა და ამით მისმა ნორმებმა სავალდებულო ძალა შეიძინა ბავშვებთან დაკავშირებით არსებულ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან მიმართებით,[57] ვინაიდან რატიფიკაცია გულისხმობს საერთაშორისო აქტს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო საერთაშორისოდ აცხადებს თანხმობას მისთვის ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების თაობაზე.[58]შესაბამისად, ამ დროიდან საქართველოსთვის ბავშვის უფლებების ნორმები და მათი პრაქტიკულად გამოყენება შესაძლებელი გახდა.

პირველი შიდასახელმწიფოებრივი დოკუმენტი, რომლითაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი განისაზღვრა, იყო 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.[59] 2016 წლის 1 იანვრამდე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმები გათვალისწინებული იყო საქართელოს სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, თუმცაღა, აღნიშნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას.[60] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმები საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა იყოს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად საკმარისი საკანონმდებლო გარანტიები უნდა არსებობდეს, დაუშვებელია არასრულწლოვნის განსაკუთრებულ

56 იქვე. გვ. 17.
57 ბავშვის უფლებათა კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/upload/CRC_child_friendly-resized.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].
58 ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (ქ. ვენა, 1969 წლის 23 მაისი). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi78.pdf> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].
59 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წლის 12 ივნისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/legislation/8688> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].
60 ვარძელაშვილი, ი., 2017. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, გვ. 71.

ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობასთან შეუსაბამო სამართლებრივი სისტემა, რომელიც არ არის ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული.[61] აღნიშნულია ისიც, რომ არსებული კანონმდებლობა არ უთმობს საკმარის ყურადღებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.[62] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით: *„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“.*[63] რაც შეეხება საუკეთესო ინტერესების განმარტებას, იგი მოცემულია ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში, რომლის მიხედვითაც: *„არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები – არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“.*[64] მოგვიანებით, 2019 წლის 27 სექტემბერს ამოქმედდა საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, სადაც ფართოდ განიმარტა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, განისაზღვრა მისი გამოყენების სავალდებულოობა, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: *„ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას“.*[65] ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: *„სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებმა, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესები განსაზღვრონ“.*[66]

ბავშვის საუკეთესო ინტერესებს განსაზღვრავს 2017 წლის 24 მაისს მიღებული საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, რომლის მესამე მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტის თანახმად: *„ბავშვის საუკეთესო ინტერესები – პრინციპი, რომელიც აღიარებს ბავშვის ინტერესების უპირატესობას ყველა სხვა სუბიექტის ინტერესებზე და მოიცავს ბავშვის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისადა განვითარების შესაძლებლობებს, რომლებიც მისი ინდივიდუალური მახასიათებლებისა და საერთა-*

61 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/68425> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

62 იქვე.

63 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

64 იქვე.

65 საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

66 იქვე.

*შორისო სტანდარტების შესაბამისად განისაზღვრება“.*[67]

საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი რიგ საკითხებთან მიმართებით უთითებს საკითხის ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოწესრიგებას.[68] ასევე, საქართველოს კანონში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირველესად გათვალისწინების შესახებ.[69]

საქართველოს კანონში – საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში – განსაზღვრულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების შესახებ.[70]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება აღნიშნულია ასევე საქართველოს კანონში სოციალური დახმარების შესახებ,[71] საქართველოს კანონში სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ.[72]

რაც შეეხება საქართველოს უზენაეს კანონს – კონსტიტუციას, მასში იდენტიფიცირებულად ბავშვთა უფლებებს ეხება 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სადაც აღნიშნულია: „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.[73]საქართველოს 1995 წლის 24 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციის მრავალი დებულება ხაზს უსვამს საქართველოს პირველი კონსტიტუციის სამართლებრივ მემკვიდრეობას.[74] კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმეორებს პირველი კონსტიტუციის 128-ე მუხლის დებულებას, რომლის მიხედვითაც: *„რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედების და ბავშვების დაცვისთვის მზრუნველობა“.*[75] საქართველოს კონსტიტუციით ბავშვთა უფლებების განსაზღვრა სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, იზრუნოს და შეუქმნას ბავშვებს კონსტიტუციით და კანონმდებლობით მათთვის მინიჭებუ-

67 საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665080?publication=0> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

68 მუხლი 183 (2); 186 1 პრიმა; მუხლის 1198 (1); მუხლი 1201 (2); მუხლი 1205; მუხლი 1209 (3); მუხლი 1214; მუხლის 1242, საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=116> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

69 მუხლი 81 (3), 251 პრიმა (2), საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

70 მუხლი 98 (4), საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=39> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

71 მუხლი 21 (3), საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=15> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

72 მუხლი 2, საქართველოს კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3307127?publication=5> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

73 საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 12 მარტი 2022].

74 დემეტრაშვილი, ი. და სხვები, 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი: შპს პეტიტი, გვ. 448.

75 გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 389.

ლი უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები.[76]

## 3.4. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის პრაქტიკულად გამოყენება საქართველოს მაგალითზე

სასამართლოს ფართო შესაძლებლობები აქვს პრინციპების განსავითარებლად, ვინაიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებებში პოვებენ ისინი ცოცხალ გამოვლინებას. ნორმატიულ აქტებში ისინი სტატიკურადაა, ხოლო სასამართლოში მათი რეალური სიცოცხლე იწყებს ფუნქციონირებას, „სასამართლო წარმოადგენს კანონის ნამდვილ სალაპარაკო ენას“.[77]

პრაქტიკულად ქმნის თუ არა რაიმე პრობლემას კონსტიტუციაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გაუწერლობა, უნდა გავაანალიზოთ საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიმოხილვით.

საკონსტიტუციო სასამართლო არასრულწლოვან პირებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე ცალსახად უთითებს და აქტიურად მსჯელობს აღნიშნულზე გადაწყვეტილებებში.[78] თუმცა, მსჯელობის მიმდინარეობისას მითითება ხდება ან უშუალოდ იმ ნორმატიულ აქტზე, სადაც ინკორპორირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ან ბავშვთა უფლებების კონვენციაზე.[79] ამასთან, საინტერესოა, რომ რიგი საკითხების კონსტიტუციურად ცნობისას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლზე ხდება დათქმა, რაც გულისხმობს თანასწორობის უფლებას „ყველას“ მიმართ და მასში მოაზრებულია ბავშვის უფლებებიც.[80]

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის მიმართულებით არსებულ გადაწყვეტილებებსა თუ განჩინებებში ზოგადად ხდება მითითება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, ზოგ შემთხვევაში – ბავშვის უფლებათა კონვენციასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე მითითებით; ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერე-

76 დემეტრაშვილი, ი. და სხვები, 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი: შპს პეტიტი, გვ. 451.

77 ზოიძე, ბ., 2007. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, გვ. 46.

